სამშობლო, დედა, ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან.

1990
შაბათი
20
ოქტომბერი
№126 (10363)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

რეგისტრირებულია ქალაქ ზუგდიდის № 91 რუსთაველის საარჩევნო ოლქში

### ბოკუჩავა ბებული კონსტანტინეს ძე



დაიბადა 1927 წელს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ქორთა, მოსამსახურის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო იქვე, ხოლო საშუალო სკოლა დაამთავრა სოფელ ჯიხაშკარში, თბილისის საფინანსო საკრედიტო ეკონომიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო 1949-1954 წელს ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით.

1949-1952 წლებში მუშაობდა ზუგდიდში განათლების განყოფილების სტატისტიკოსად, რაიფინგანის სახელმწიფო შემოსავლების ინსპექტორად, 1952-53 წლებში ქუთაისის ოლქის ფინგანის განყოფილების საგეგმო და ოპერატიული აღრიცხვის სექტორის უფროსად, შემდგომ კი ამავე განყოფილების გამგედ. ოლქის ლიკვიდაციის დღიდან 1953-65 წლებში ზუგდიდის რაიფინგანის უფროს ინსპექტორად, საქვეუწყობის განყოფილების მმართველად, საფინანსო განყოფილების გამგედ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1965-84 წლებში არჩეული იყო რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის განთავისუფლებულ მოადგილედ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, საფინანსო განყოფილების გამგედ და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ — საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1984 წლის 20 დეკემბერს დეპრესირებულ იქნა 12 წლით. რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 23 თებერვლის დადგენილებით საქმის შეწყვეტა და განაჩენი სცნო არასამართლიანად და გაანთავისუფლა პატიმრობიდან. ის დღესაც სასტიკად იბრძვის სრული რეაბილიტაციისათვის.

1941-49 წლებში იყო ალკკ წევრი, ხოლო 1949 წლიდან 1985 წლის იანვრამდე სკკპ წევრი, 1950-84 წლებში არჩეული პარტიის რაიონული, საქალაქო კომიტეტისა და ბიუროს წევრად. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად და ამავე აღმასკომების წევრად. დაჯილდოებულია მედლებით: „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის", აგრეთვე მიღებული აქვს მრავალი ჯილდო შრომითი წარმატებებისათვის. არის უპარტიო, პენსიონერი.

ცოლშვილიანია. მეუღლე არის პედაგოგი, ამჟამად პენსიონერი, ჰყავს ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი. ქალიშვილი ექიმია, ვაჟიშვილი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ბებული კონსტანტინეს ძე ბოკუჩავა ქალაქ ზუგდიდის №91 რუსთაველის ოლქის 2000-ზე მეტმა ამომრჩეველმა დაასახელა დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატად.

### წინასაარჩევნო პროგრამა:

1. დემოკრატიისთვის ვიბრძოლებ ქართველთა უმრავლესი ამოცანისათვის—მშვიდობიანი გზით საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად; კომუნისტური პარტიის „წყალობით" და მაფიოზური ძალების დასამარებული კანონიერებისა და ადამიანის უფლებების აღსადგენად; შრომისმოყვარე, უანგარო, საქართველოსთვის თავდადებული, მისი გამრავლება-გაჯანსაღებისათვის მზრუნველი ახალგაზრდობის ხელში ძალაუფლების გადასაცემად.

ამ მიზნით აქტიურ მონაწილეობას მივიღებ ახალ პარლამენტში კანონპროექტთა შემუშავება-განხილვაში.

2. მე, როგორც საქართველოს ერთ-ერთი სახელოვანი ქალაქის —ზუგდიდის მცხოვრები, უმთავრეს მოვალეობად ვთვლი ჩემს მშობლიურ რაიონსა და ქალაქში ჩამოყალიბებული რთული სიტუაციის რადიკალურ შეცვლას. დღეს იგი მიზნობრივი გაყოფის შედეგად დაკნინებულია ეკონომიურად და მორალურად. ხელისუფლება 70 წლიანი „ნაცადი" ხერხებით ხელში აქვთ ჩაგდებული საქმოსანთა წრეზე მორგებულ კეცთმოძული და დამნაშავეთა მფარველ ადამიანებს. ქვარა ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფილი მილიციაორი პროკურატურა, ოთხი სახალხო სასამართლო, ოთხი საკონტროლო ორგანო და ა. შ. კანონიერების დაცვის სისტემაც ერთეულებზე მორგებული სტრუქტურით სრულებით არ პასუხობს ხალხის გასაჭირს, რომელსაც ელემენტარულად მდრტვნელებისაგანაც კი ვერ „დაუცავია" ავადმყოფება.

მხოლოდ ერთიანობაშია წესრიგი და ძლიერება. ხალხის ნებით უნდა მოხდეს რაიონისა და ქალაქის მთავრობათა გაერთიანება, სადაც უვიცნი და უსუსურნი ფეხს ვერ მოიკიდებენ. მდგომარეობა კრიზისულია. მისი გამოსწორებისათვის, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, უკან აღარ დავიხევ, მიუხედავად იმისა, ამირჩევენ თუ არა პარლამენტში.

3. ხალხი „ბარომეტრია". იგი მცირეოდენ ღვაწლსაც კი არ ივიწყებს, ადრე თუ გვიან მას სიკეთით იხდის. მოულოდნელი იყო ჩემთვის 2000-ზე მეტი ადამიანის მიერ ჩემი დეპუტატობის კანდიდატად წამოყენება. მოულოდნელი, მაგრამ ალბათ, კანონზომიერი. ახსოვთ მათ როგორი უძლური და დაკნინებული იყო საქალაქო მეურნეობის კომუნალური სამსახურები, მაქვს უფლება ვთქვა, ერთბაშად 1978-84 წლებში ის განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სხვადასხვა წყაროებით ვაშენებდით 20 მილიონი მანეთის კომუნალურ და საბინაო ობიექტებს. ყოველწლიურად ხალხის სამსახურში დგებოდა საავტომობილო და ფეხსავალი ხიდები, ახალი ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, სატროლეიბუსო ხაზები, სანიაღვრე კოლექტორები, ელქვესადგურები, სახლები, მწვანე ზოლები, წყალკანალის ქსელი და სხვა.

ყოველივე ეს დღეს ჩამკვდარია, ზოგიც დანგრეული და გაუქმებული. მოსახლეობას სასმელი წყალიც კი არ მიეწოდება რიგიანად. მე, როგორც ერთიანი ზუგდიდის მესვეურს, უსაზღვრო პასუხისმგებლობა დამაკისრა თანამოქალაქეთა ასეთმა ნდობამ. შეურიგებელი ვიქნები ამ ხარვეზების აღმოფხვრაში, ცოდნასა და გამოცდილებას არ დავიშურებ ჩემი მხარისათვის. დიქტატითა და მუშტის ქნევით არ აშენდება ქალაქი, ჩვენი ხსნა მხოლოდ საქმისადმი პროფესიონალურ და კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაშია.

უფრო დაწვრილებით ამ პრობლემებზე ვისაუბრებ ამომრჩევლებთან შეხვედრისას, რაც საფუძვლად დაედება მათი განაწესების განუხრელ შესრულებას.

ბ. ბოკუჩავა,
ქ. ზუგდიდის № 91 რუსთაველის საარჩევნო ოლქის დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი.

მეცხოველეობა—90

## კოლხიდელთა მიღწევები

„კოლხიდის" კოლმეურნეობის მეცხოველეებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს 9 თვეში რძისა და ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების მხრივ. 1120 ცენტნერის ნაცვლად წარმოებულია 1278 ცენტნერი რძე. ხორცის წარმოების დავალება შესრულებულია 101,7 პროცენტით, რძის ჩაბარებისა 115,1 პროცენტით, ხორცის სახელმწიფო ჩაბარებისა კი—74,4 პროცენტით.

რძის წარმოების წლიური დავალებას მეცხოველეები ასრულებენ 1 ნოემბრისათვის, ხოლო ხორცის წარმოებისას—15 დეკემბრისათვის.

ფერმა გადავიდა ახალ კომპლექსში, სადაც შრომატევადი პროცესები მექანიზირებულია. აქვთ კეთილმოწყობილი მეგიენის დასასვენებელი ოთახები.

გამოზამთრებისათვის საკვების მარაგის შექმნის მიზნით 100 ტონის მაგიერ ჩადებულია 135 ტონა სენაჟი. სილოსი გეგმიური 350 ტონის მაგიერ ჩადებულია 550 ტონა და მისი დამზადება გრძელდება, ტურნეფსის ნათესიდან მოელიან 80 ტონა საკვების მოღებას. შვრიას დაეთმობა 15 ჰექტარი; დასამზადებელია 100 ტონა თივა.

საკვებწარმოების საქმეში დასაქმებულთა შორის გამოირჩევიან: ტრაქტორისტ-მემანქანე მეგონა დარასელია და ბრიგადირი უსუპ ჯიქია.

მეცხოველეობის ფერმას ხელმძღვანელობს შრომის გმირი იმენია ჯაბუა. ფერმის შრომატევად სამუშაოებს თავსართმევენ მწველავები: მუხრან ნაჭყებია, სულიკო დარასელია, ნინელი დარასელია, გული ჯიქია, მეხბორეები შურა დარასელია, ჟორჟი ქვანია, მომვლელები: ჟორჟი ჯაბუა, შოთა ქვარაია და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

### რეგისტრირებულნი არიან ქალაქ ზუგდიდის № 91 რუსთაველის საარჩევნო ოლქში

## ანთელავა ილია პავლეს ძე



დაიბადა 1951 წელს. 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი საქართველოს ისტორიის სპეციალობით.

1975 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1984 წელს სადოქტორო დისერტაციები. გამოქვეყნებული აქვს 60-მდე ნაშრომი, მათ შორის ოთხი მონოგრაფია.

1973 წლიდან მუშაობდა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს, უფროს და ბოლოს წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად.

ამჟამად არის რეზო თაბუკაშვილის სახ. საქართველოს ეროვნული მოძრაობის ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი და საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი.

არჩეულია სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების კომიტეტის წევრად და კომისიის თავმჯდომარედ. სკკპ წევრობიდან გამოსულია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## წინასაარჩევნო პროგრამა:

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების წინასაარჩევნო პროგრამიდან გამომდინარე, ამ საზოგადოების პერსონალური კანდიდატის ილია პავლეს ძე ანთელავას პროგრამა მოიცავს შემდეგ ძირითად პუნქტებს:

1. საპრეზიდენტო ხელისუფლების შემოღება საქართველოში. საქართველოს პრეზიდენტის არჩევა საერთო—სახალხო, ალტერნატიული და ფარული კენჭისყრით.
2. ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობის კანონებისა და სათანადო მექანიზმების შექმნა.
3. ქართული არმიის შექმნა.
4. ადმინისტრაციული რეფორმა. ოლქების, ქალაქებისა და სოფლების მმართველობის ახალი სისტემის შექმნა. თავისუფალი ქალაქის სტატუსის შემუშავება.
5. ეკონომიკის კერძო საკუთრებაზე გადაყვანა ყველა სფეროში.
6. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საფუძვლად 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების აღიარება.
7. სათანადო ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის გამოცხადება.

## კალანდია გორის გიორგის ძე



დაიბადა 1950 წელს ქ. ზუგდიდში. აქვე დაამთავრა მე-9 საშუალო სკოლა წარჩინებით. 1966-1969 წლებში მუშაობდა ზუგდიდის სახერხ ქარხანაში, საკონსერვო ქარხნის მუშად. 1969 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გერმანიის უმაღლესი ეკონომიკური სკოლა. სწავლის პერიოდში იყო ლენინის სახელობის სტიპენდიატი.

1979-1984 წლებში სწავლობდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში და მიიღო გერმანული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1974 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე ასისტენტად.

1976-1978 წლებში იყო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების და მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი.

1978 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1986 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1989 წელს აირჩიეს პროფესორად.

1978 წლიდან კომპარტიის წევრია.

ამჟამად მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის № 1 კათედრის გამგედ. მოადგილეც პოლიტეკონომიაში, ხო[illegible]ის და პოლიტოლოგიის [illegible]ებში ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1982-1988 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა გერმანიის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტში. არის 56 სამეცნიერო შრომის, მათ შორის, 10 წიგნის ავტორი. ფლობს რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს.

ორჯერ იყო ყაზახეთში, როგორც სტუდენტური რაზმის ხელმძღვანელი, ხოლო სამჯერ — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დაჯილდოებულია გერმანიის ახალგაზრდული ორგანიზაციის უმაღლესი ჯილდოთი.

არჩეულია საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის პასუხისმგებელ მდივნად, საკავშირო ჟურნალ „ეკონომიჩესკიე ნაუკის" რედკოლეგიის წევრად, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის კონსულტანტად, ყოველკვირეული საუნივერსიტეტო ეკონომიკური კოლოქვიუმის „დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა"—ხელმძღვანელად, განათლების სამინისტროს მეთოდსაბჭოს თავმჯდომარედ.

ცოლშვილიანია, ჰყავს ორი შვილი.

## წინასაარჩევნო პროგრამა:

—საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მოქმედებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია და კანონები;

—საქართველო საკუთრების მრავალფეროვნების (კონსტიტუციაში დაფიქსირებული) საფუძველზე განსაზღვრავს თავისი ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული და კულტურული განვითარების პრინციპებს. ამ მიზნით შემოაქვს საკუთარი ფულის ნიშნები, აფუძნებს ეროვნულ ბანკს, აყალიბებს საფინანსო საკრედიტო სისტემას, საგადასახადო ინსპექციას და საბაჟო სამსახურებს;

—თავისი უშიშროებისა და საზღვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში ყალიბდება უშუალოდ უზენაესი საბჭოსადმი დაქვემდებარებული საკუთარი არმია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოები. ამასთან საქართველომ უნდა მოითხოვოს თავისი წილი სსრ კავშირის შეიარაღებიდან;

საქართველო დამოუკიდებლად, თავისი შესაძლებლობების მიხედვით განსაზღვრავს მოქალაქეთა სამხედრო სამსახურის გავლის წესს (პროფესიონალური არმია, სავალდებულო და სამოქალაქო ანუ ალტერნატიული სამსახური). მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით. სხვა, მათ შორის, ამჟამად სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების სამხედრო შენაერთების და ბაზების განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი საბჭოს თანხმობით;

პოლიტიკურ-აკადემიური კომპლექსის ჩამოყალიბება ანუ პოლიტიკისა და მეცნიერების ინტეგრაცია. არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გადაწყვეტილება არ უნდა იქნეს მიღებული მეცნიერების რეკომენდაციების და საყოველთაო რეფერენდუმების შედეგების გათვალისწინების გარეშე;

მკაცრად იმიჯნება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. მკვიდრდება კანონის უზენაესობა. ყოველი მთავრობა, რომელიც პატივს სცემს თავის ხალხს, საკუთარ სტატუსს, თავდაუზოგავად უნდა იღვწოდეს პატივისცენ მის კანონებს;

საგარეო-ეკონომიკური და სხვა ურთიერთობების წარმართვა მხოლოდ ეროვნული ინტერესების საფუძველზე;

ადამიანის მიჩნევა უმაღლეს სოციალურ ფასეულობად, მისი უფლებების დაცვა;

სამეგრელოს რეგიონში უნივერსიტეტის გახსნა, ადგილზე კადრების სამუშაოთი უზრუნველყოფა.

## ზრუნვის მაქსიმუმი —ბავშვებს!

ამ რამდენიმე წლის წინ დაბადრაში გახლდით. ჩემი ყურადღება გალავნიანმა შენობამ მიიპყრო, რომლის ეზოშიც უამრავ ბავშვს მოეყარა თავი. თურმე, უპატრონო ბავშვთა სახლი ყოფილა, სული ამოფორიაქა მათმა დანახვამ.

გავესაუბრე ბავშვებს. მოსიყვარულე. სოხუმიდან, ოჩამჩირიდან, თბილისიდან, ერევნიდანაც კი ყოფილან ჩამოყვანილები, ერთმა, ზუგდიდელი ვარო, გვა მქვიაო. გული დამწყდა... ჩემი თანაქალაქელი ყოფილა, საოცრად ლამაზი, საყვარელი გოგონა იყო. რაღაც იდუმალი, სევდიანი თვალები ჰქონდა. „ჩემი დედიკო და მამიკო მენატრებიან ძალიან, ნეტავ, როდის ჩამოვლენო?" თან მათ სახელსა და გვარს წამდაუწუმ იმეორებდა.

მას შემდეგ, მუდამ იმის ფიქრში ვიყავი, რომ რაიმეთი დავხმარებოდი ასეთ ბავშვებს, მენუგეშებინა. და აი, ბედმა გამიღიმა და გავხდი თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

## ნუ გაიმეტებთ

ჩემმა ჯგუფმა აიღო შეფობა მარტყოფის სკოლა-ინტერნატის საბავშვო სახლზე, რომლის ხელმძღვანელად და ორგანიზატორად მე ამირჩიეს.

ყოველი თვის ბოლოს ავდივართ ინტერნატში. მიგვაქვს ჩვენი მცირე დანაზოგიდან საჩუქრები. ბავშვების სიხარულს საზღვარი არა აქვს...

ამ საქმეში მხარი დაგვიჭირა მარტყოფის სასოფლო საბჭომ. ინტერნატს გამოუყვეს [illegible] ნაკვეთი, რომლის წლიური შემოსავალი 80 ათას მანეთს შეადგენს. ეს თანხა მთლიანად ირიცხება უპატრონო ბავშვთა ფონდში კერძოდ „მარტყოფში". თანხა ბავშვებს ეძლევათ მანამ, სანამ ისინი დამოუკიდებელ ცხოვრებას არ დაიწყებენ.

ამ ინტერნატს შეფობას უწევს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი, ფაბრიკა „ისანი" და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები.

მართალია, სახელმწიფო ზრუნავს ბავშვებზე, მაგრამ მშობლის სითბოსა და ალერსს, ქვეყნად ვერავინ შეცვლის. დედებო, ნუ გაიმეტებთ უცოდველ, საწყალ არსებებს.

ნ. ხვიჩია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

რეგისტრირებულია ქალაქ ზუგდიდის №01 რუსთაველის საარჩევნო ოლქში

## ღორჯოლიანი თამაზ ომარის ძე



დაიბადა 1960 წ. 4 სექტემბერს. საშუალო სკოლა დაამთავრა 1976 წელს სოფ. ცაიშში. 1984 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-თბოენერგეტიკოსის კვალიფიკაციით, 1984 წლიდან მუშაობს ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში ინჟინერ-ტექნოლოგად.

1988 წელს თამაზ ღორჯოლიანის პირადი ინიციატივით დაარსდა ი. ჭავჭავაძის საზოგადოების ფილიალი, რითაც საფუძველი ჩაეყარა ზუგდიდის რეგიონში ეროვნულ მოძრაობას. არჩეული იყო ამ საზოგადოების დარბაზის წევრად.

ი. ჭავჭავაძის საზოგადოების ორ ფრთად გაყოფის შემდეგ, თ. ღორჯოლიანი ერთდროულად ეკუთვნის წმინდა ილია მართლის საზოგადოებას და საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობის პარტიის რეგიონალურ ორგანიზაციებს ზუგდიდში. ორივე 1-ელ და მე-2 კონგრესზე არჩეული იყო ხელმ. მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში.

თ. ღორჯოლიანი მერაბ კოსტავას სახელობის საქველმოქმედო ფონდის გამგეობის წევრია ამ ფონდის დაარსების დღიდან.

ნასამართლევია: 9 აპრილს საპროტესტო აქციის ჩატარებისათვის, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა ფულადი ჯარიმის გადახდა.

ზუგდიდში ჩატარებული ყველა პოლიტიკური აქციის ორგანიზატორი და უშუალო მონაწილეა.

აღსანიშნავია საბჭოთა საოკუპაციო ჯარებისადმი ბოიკოტის, აფხაზეთის, ქვემო ქართლის, სამაჩაბლოს ცნობილ ამბებთან დაკავშირებული აქციები, აგრეთვე წრიული ეკოლოგიურ-სოციალური და დემოგრაფიული საკითხებისადმი მიძღვნილი სამუშაოები, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ჩატარდა.

თამაზ ღორჯოლიანის ინიციატივით ამ ბოლო დროს დაარსდა მერაბ კოსტავას სახელობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია.

თამაზ ღორჯოლიანი ამჟამად სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეა.

აღსანიშნავია მისი აქტიურობა ეროვნულ მოძრაობაში.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ცხოვრობს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში.

## წინასაარჩევნო პროგრამა:

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად განადგურდა მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

კრემლის მიერ დანიშნული ხელისუფლების 70 წლიანი დანაშაულებრივი, ანტიეროვნული პოლიტიკის გამო საქართველო დგას ზნეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე.

ხსნა თავისუფლებაშია. 28 ოქტომბერს არჩეულმა ახალმა უზენაესმა საბჭომ უნდა მოახდინოს იმპერიული სახელმწიფო სტრუქტურების დემონტაჟი, შექმნას ახალი დემოკრატიული სტრუქტურები, მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. დეკლარაცია საქართველოს უზენაესი საბჭოს იურისდიქციის შესახებ.
2. დეკლარაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სსრკ-ს და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
3. დეკლარაცია საქართველოს სსრ სახელწოდების, სახელმწიფო სიმბოლიკის შეცვლისა და გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ.
4. დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის დროებით შეჩერებული კონსტიტუციის საფუძველზე გარდამავალი პერიოდის ძირითადი კანონის შემუშავების შესახებ.
5. დადგენილება 1921 წ. 16 თებერვლის შემდეგ საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიერ დადებული სამოკავშირეო ხელისუფლების ბათილად ცნობის შესახებ.
6. დადგენილება საქართველოს მიწის, საჰაერო სივრცის, წყლის რესურსების, კონტინენტალური შელფისა და წიაღისეულის ეროვნულ საკუთრებად გამოცხადების შესახებ.
7. კანონი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების შესახებ.
8. კანონი საბაჟო სამსახურის შესახებ.
9. კანონი სატრანზიტო გადაზიდვების შესახებ.
10. კანონი ეროვნული საჯარისო ფორმირებების შესახებ.
11. დადგენილება საქართველოში საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალის სტატუსის მინიჭების შესახებ.
12. კანონი ეროვნული უშიშროების სამსახურის შესახებ.
13. კანონი მოქალაქეობის შესახებ.
14. კანონი მოქალაქეთა უფლებრივი და პოლიტიკური გარანტიების შესახებ.
15. კანონი ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ სამართლებრივი გარანტიების შესახებ.
16. კანონი ემიგრაციის შესახებ.
17. კანონი სინდისის თავისუფლების შესახებ.
18. კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ.
19. კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ.
20. კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ.
21. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს დეიდეოლოგიზაცია.
22. დადგენილება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა სრული გამიჯვნის შესახებ.
23. დადგენილება სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ.
24. კანონი რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიული მოწყობის შესახებ.
25. კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმების შესახებ. მუნიციპალური არჩევნების ჩატარების გზით.
26. დადგენილება აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების შექმნის შესახებ.
27. დადგენილება ეროვნული პოლიციის შესახებ.
28. განათლების სისტემის რეფორმა.
29. ფართო ხასიათის ეკონომიკური რეფორმის განხორციელება (თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დაკანონება)
30. კანონი ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ.

პარალელურად უნდა დაიწყოს მოლაპარაკება სსრკ და სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს ანექსირებულ ქვეყნად ცნობის შესახებ, მიღწეულ იქნას საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტად აღიარება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება უნდა იყოს დამაგვირგვინებელი აქტი ახალი უზენაესი საბჭოს მოღვაწეობისა. ამის შემდეგ უნდა დაინიშნოს თავისუფალი საქართველოს პარლამენტის არჩევნები და უზენაესმა საბჭომ ამ პარლამენტს გადასცეს თავისი უფლებამოსილება ახალი კონსტიტუციის შესაბამისად.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

რეგისტრირებულია №02 ბახათის საარჩევნო ოლქში

## სართანია ტარიელ შალვას ძე



დაიბადა 1935 წლის 5 ივლისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, უპარტიო, გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის ათზე მეტი ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი. ოცდაშვიდ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

## წინასაარჩევნო პროგრამა:

უზენაესი საბჭოს ყველა ქართველი დეპუტატი მთელი თავისი ძალისხმევით უნდა ილტვოდეს იმისათვის, რომ:

1. საქართველომ მიაღწიოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზით;
2. საქართველოს რესპუბლიკა წარმოდგენილ იქნას ერთიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სუვერენული სახელმწიფოს სახით, რომლის რეგიონალურ-ეთნოგრაფიული ერთეულები იქნება: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, აფხაზეთი, მესხეთი, ჯავახეთი, ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი და საინგილო.
3. საქართველოში ყოველგვარი საქმის წარმოება უნდა ხორციელდებოდეს ქართულად, მის სახელმწიფო ენაზე;
4. დაკანონდეს სინდისის, სიტყვის, პრესის, რადიოს, ტელევიზიის, განათლების, სამართალწარმოების, საკუთრების, ადამიანთა უფლებების, კრებების, კავშირების, საწარმოების და სხვათა თავისუფლება, დამოუკიდებლობა;
5. დაკანონდეს საქართველოში სახელმწიფო საკუთრება მიწაზე და მიწის უვადო გამოყენება საიჯარო წესით;
6. დაკანონდეს სახალხო თვითმმართველობა რეგიონებში, ქალაქებსა და სოფლებში;
7. გაუქმდეს სახელმწიფო საწარმოები და გადაეცეს ისინი შრომითი კოლექტივების მმართველობაში; საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობების ნაცვლად შეიქმნას გლეხური მეურნეობები;
8. გაუქმდეს ყოველგვარი გადასახადი, გარდა მიწის რენტისა და მოგებიდან ანარიცხებისა 33,3 პროცენტის (ერთი მესამედის) ფარგლებში.
9. გარანტირებულ იქნას მშრომელთა სოციალური დაზღვევა და დაცულობა;
10. არსებითი დახმარება გაეწიოთ მრავალშვილიან ოჯახებსა და მოსახლეობის შრომისუუნარო ინვალიდ და ავადმყოფ ნაწილს;
11. დეპუტატმა იზრუნოს თავისი საარჩევნო რეგიონის ყოველმხრივი განვითარებისათვის;
12. უზრუნველყოფილ იქნას ეროვნებათა, რასობრივ, წოდებრივ, რელიგიურ და მოსახლეობის სხვადასხვა ნიშნების მიხედვით განსხვავებათა თანაბარი უფლებამოსილება.

## საკვების მინდვრები ფართოვდება

თეთრიწყაროს საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის საკვების დაგროვების დამატებითი წყარო გახდა ადრე გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ძირითადად მთისა და მთაგორიან ზონაში განლაგებული პერსპექტიულად მიჩნეული მიწები გაიწმინდა ქვაღორღისაგან, მელიორატორთა რაზმების დახმარებით მოირწყა, გაიყვანეს გზები.

—განზრახული გვაქვს,—ამბობს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ანზორ მესხიშვილი,—არა მარტო ჩვენი თავი უზრუნველვყოთ საკუთარი წარმოების საკვებით, არამედ გავყიდოთ კიდეც იგი.

ამ მიზნით აქ ჩამოყალიბდა საკვებმომპოვებელთა სპეციალიზებული რაზმები, ისინი უზრუნველყვეს ტექნიკით. რაიონში დიდი ზრუნვა გამოიჩინეს საკვები სავარგულების გაფართოებისათვის. კონტროლი დააწესეს მთელ ბუნებრივ სათიბებსა და სავარგულებს, რომელთაც აქ 6,300 ჰექტარი უკავიათ.

(საქინფორმი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

რეგისტრირებულნი არიან №88 რუხის საარჩევნო ოლქში

## გულორდავა აბესალომ მეგონას ძე

დაიბადა 1957 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშში მოსამსახურის ოჯახში. უცოლშვილოა.

1974 წელს დაამთავრა წალენჯიხის რაიონის სოფ. ობუჯის საშუალო სკოლა. რის შემდეგ მუშაობას იწყებს ჭკადუაშის კოლმეურნეობაში კოლმეურნედ. 1976 წელს წარჩინებით დაამთავრა გალის რაიონის სოფ. საბერიოს ტექნიკური სასწავლებელი ელექტროშემდუღებლის სპეციალობით. იმავე წელს გახდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიური ფაკულტეტის დღის განყოფილების სტუდენტი, რომელიც 1981 წელს დაამთავრა ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე განაწილებით მუშაობას იწყებს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალექსპლოატაციის" კოლხეთის ჰიდროგეოლოგიურ-მელიორაციულ პარტიაში უფროს ტექნიკოსად. ამ ორგანიზაციაში იმუშავა ჰიდროგეოლოგად, უფროს ჰიდროგეოლოგად, უბნის უფროსად, ახლა კი უფროსის თანამდებობაზეა. არის უპარტიო.

## წინასაარჩევნო პროგრამა:

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება — დღევანდელი საბჭოურ-კოლონიალური სტატუსის ალიარებით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და განახლება.

—საქართველოს ეროვნული სიმდიდრის განსაზღვრა და ერის საკუთრებად გამოცხადება.

—საკუთრების ყველა ფორმის თანასწორუფლებიანობა, სახალხო მეურნეობის დენაციონალიზაცია და პრივატიზაცია, საბაზრო ეკონომიკის დანერგვა. კერძო და კოლექტიური საკუთრების ფორმების განვითარება, სახელმწიფოებრივი მონოპოლიის გაუქმება. ბიზნესისა და კომერციის სფეროს აღორძინება კერძო ინიციატივაზე დაყრდნობით.

—საქართველოს მოსახლეობის სოციალური გარანტიების განსაზღვრა და დაცვა.

—კერძო საკუთრების დაცვა. ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრა ლეგალიზაციის გზით.

—აგრარული რეფორმების გატარება. ფერმერული და ტრადიციული მეურნეობის აღდ...

—ადგილობრივ მმართველობაში მუნიციპალურობის დამკვიდრება და მისი როლის ამაღლება.

—ქართული ეროვნული თვისებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე ერთა შორის ტოლერანტობისა და თანასწორუფლებიანობის დაცვა.

## თორდია ბადრი აკაკის ძე

დაიბადა 1960 წლის 15 თებერვალს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედაეწერში, კოლმეურნის ოჯახში.

1976 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა, 1977 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1982 წელს. პარალელურად სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის მეორად ფაკულტეტზე სამართლისმცოდნეობის სპეციალობით.

დამთავრებული აქვს უნივერსიტეტის ასპირანტურა, არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხოლო 1987 წლიდან დღემდე მუშაობს უნივერსიტეტში დოცენტის თანამდებობაზე, გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, თანამედროვე ეტაპზე მისი კვლევის სფეროა „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები 1917-1921 წლებში."

არის საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა დამოუკიდებელი ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი.

უცოლშვილოა. დეპუტატობის კანდიდატად №88 რუხის საარჩევნო ოლქში დასახელებულია საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირისაგან.

## წინასაარჩევნო პროგრამა:

პროგრამის დაწერა ადვილია, მთავარია მისი შესრულება. მრავალპარტიული არჩევნების პირობებში იქმნება პროგრამები, რომლებიც გვპირდებიან საქართველოს ბრწყინვალე მომავალს, არადა ზღაპრული საზოგადოების შექმნის შესახებ არსებული მთავრობის 70 წლიანმა დაპირებებმა ფაქტიურ შიმშილობამდე მიგვიყვანა.

ჩემი სადეპუტატო საქმიანობის ძირითადი პრინციპები გამომდინარეობს „საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის პროგრამიდან", რომლის უმთავრესი მიზანია საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული აღორძინება. ჩვენი აზრით ამ გლობალური პრობლემების გადაწყვეტის საფუძველია ეკონომიკა, რესპუბლიკის ეკონომიკური სიძლიერე, პოლიტიკური ამოცანების განუყრელად დაკავშირება მომავალი საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებასთან, დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებასთან, ოპოზიციური პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციასთან და ა. შ.

თუ ამომრჩევლები მხარს დამიჭერენ, მთელ ჩემს შესაძლებლობებს მოვახმარ ქართველი ერის ისეთი სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა საქართველოს სრული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ეკონომიკური აღორძინება, დემოკრატიული საქართველოს აშენება, ეკოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარება, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხების ორგანიზება ეროვნულ პრინციპებზე.

დეპუტატობა უდიდეს მოვალეობას აკისრებს პიროვნებას — იყოს იმ საარჩევნო ოლქის დიდი პატრიოტი, სადაც ის აირჩიეს დეპუტატად. ამასთან დაკავშირებით რაიონის სინამდვილიდან გამომდინარე უმთავრესად მიმაჩნია მიწათსარგებლობის საკითხების მოწესრიგება, კანონის უზენაესობის მიღწევა, სპეკულაციის, მექრთამეობის, ვაჭრობის წესების დარღვევისა და სხვა დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება, რაიონის ინტელექტუალური პოტენციალის კიდევ უფრო ამაღლება, პატიოსანი შრომის დაფასების ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელი კაცის ინტერესების დაცვას საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

---

ზუგდიდის საცხენოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია აცნობებს კოოპერატორებს, სხვადასხვა სახის კოოპერატივის გახსნის მსურველ პირებსა და კერძო მოსაქმეებს, რომ იპოდრომს გააჩნია როგორც მრავალდარგოვანი კოოპერატივის, ასევე სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონლის დამამზადებელი სამქროების, სამკერვალოს, კაფე-ბარის, სასადილოს, კომერციული სავაჭრო მაღაზიის და ა. შ. გახსნისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი, სათავსოები, შენობა-ნაგებობები და სხვა.

დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს დაწვრილებითი პირობების გაგება შეუძლიათ ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

მისამართი: სოფელ რუხი, იპოდრომის დირექცია.

---

მეუღლე ვარდო, შვილები: ვენლინა, აბესალომი, მერაბი, მარლენი, დები: გოგუცა, თალიკო, ძმა შოთა, რძლები: როზა მიქაია, ლელა მოსია, ნინო ნადარაია, ეკა შულაია, სიძეები: დიმიტრი მოწონელიძე, სოლომონ სხულუხია, ლეონტი მალანია, შვილიშვილები: ხატია, ნათია, ვლადიკა, ბექა, ქეთი, ქრისტინა ქომეთიანები, გიორგი, ნინო მოწონელიძეები, დისშვილები: დინარი, ციური, ცინარი, სერგო, იზო, სოსო სხულუხიები, მარლონი, ნონა, დალი, თემური მალანიები, ძმისშვილები: ლეილა, ზური, ელგუჯა ქომეთიანები, მაზხლები: ვენერი, ნინელი მოსიები, ვალია ნადარაია, ნური და ფლორა შულაიები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ჰიჰიკო ესტატეს ძე ქომეთიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26 ოქტომბერს. დაკრძალვა 27 ოქტომბერს ჭითაწყარში.

---

ზუგდიდის მეღორეობის საწარმოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე საწარმოს მუშის

**ჰიჰიკო ესტატეს ძე ქომეთიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მამა სამსონი, მეუღლე მადარი, შვილები მამუკა, ნანა, ეკა, შვილიშვილი ანა, და მოკონა, ბიძა ... ესართია, დეიდები ქეთო, ცაბა, ჟუნა ესართიები, დისშვილები: ნელი, სოსო, მარინა, ელდარი, ზურაბი, მანანა, მაია, სიძეები: ოთარ ფარცვანია, პარტუკა ციცქარავა, დემურ რობაქიძე, კოტე დუმბაძე, გოჩა კალანდაძე, ცოლისძმა კარლო, ცოლისდები: საშა, ფუშუ, ვარდო თირქიები, მაზხლები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ბებო ესართია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აჩიკო სამსონის ძე ფარულავა.**

პანაშვიდი 21, 22 ოქტომბერს. დაკრძალვა 23 ოქტომბერს 4 საათზე. გამოსვენება ზუგდიდი, ლესელიძის ქ. 31.

---

ბიძაშვილები: ჟორა, ქრავაზი, ნათელა კაზუები ოჯახებით იუწყებიან

**კოლია (კიტა) კოწიას ძე სილოგავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: კაკო, ნელი, ციალა, თალიკო, ლამარა, თამილა, ძმა ტარასი ჯიქია, რძლები: ჟუჟუნა, ნათელა, მაია. შვილიშვილები: ანზორი, დალი, ხათუნა, ჟანა, ემზარ მაისურაძეები, გოჩა, იამზე, ირმა ძიძარიები, ლალი, ლელა, თეა, შორენა, ნათია ჰურღულიები, ნონა, ნინო, ზური აბსავები, ლამზირა, ლარისა, რამაზი კვარაცხელიები, ვიტალი, გია ბაკარანძეები, სიძეები კაკო ძიძარია, ჯიმშერი ჰურღულია, ოთარ აბსავა, ვახტანგი კვარაცხელია, ვალერი ბაკარანძე, დისშვილი ლუდუნი სხულუხია, ძმისშვილები: ზაურა, გული, რუსიკო ჯიქიები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ცური მოსეს ასულ ჯიქია-მაისურაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21, 22 ოქტომბერს. დაკრძალვა 23 ოქტომბერს სოფ. კახათში.

---

სოფელ დარჩელის მეორე საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს აველინა და ზინა მარშანიებს მეუღლის და ძმის

**ვლადიმერ დარისპანის ძე მარშანიას**

გარდაცვალების გამო.

---

განმუხურის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მარგო ქუთარის ასული ბუჯიშია-თოდუა**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის ბარტყეულ გადამამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

**ვერა ნესტორის ასული კორშავია-ჯიქიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

## ა. შ. ფანცულაია

გარდაიცვალა საკოლმეურნეო შრომის აქტიური მონაწილე, არაერთი ორდენისა და მედლის კავალერი, სკკპ წევრი 1960 წლიდან, გრიგოლიშის კოლმეურნეობის დამსახურებული მუშაკი აგრაფინა (აფრიკო) შალვას ასული ფანცულაია.

იგი დაიბადა 1934 წელს კახათში. 1957 წლიდან მუშაობდა გრიგოლიშის კოლმეურნეობაში. ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი სათავეში ედგა რგოლს, რომელსაც გარკვეული წვლილი შეჰქონდა კოლმეურნეობის წინსვლის საქმეში, იყო ბრიგადირი, არჩეული იყო საქ. კპ ზუგდიდის რაიკომის წევრად, სასოფლო საბჭოს (მრავალგზის) დეპუტატად, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ, პარტბიუროს წევრად.

მრავალშვილიანი დედა საუკეთესოდ უთამებდა ერთმანეთს საზოგადოებრივ და საოჯახო შრომას.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი მანდილოსანი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს თანასოფლელების გულში.

**გრიგოლიშის კოლმეურნეობის გამგეობა.**

რედაქტორის მოადგილე **ზ. ცხონდია.**

---

მეუღლე არველოდი, შვილები: ზური, მზევინარი, ელისო, აზა, ვარშავი მიქავა, რძლები ნანი, ბუკა, ნუცა ლაგვილავა, სიძეები: ჯამბულ აბულაძე, გვანჯი ქარდავა, მული ნაზია ლურწკაია, შვილიშვილები: ვეფხვია, ნათია, ხატია ლურწკაიები, ... სოფიკო, მანუჩარ ... ლაძეები, ბიძია ... დარასელია, დეიდები ... ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**აგრაფინა (აფრიკო) ფანცულაია-ლურწკაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21, 22 ოქტომბერს. დაკრძალვა 23 ოქტომბერს სოფელ გრიგოლიშში.

---

შვილები: შურა, ციცინო, ინდიკო, კლიმენტი, რძლები: ლამარა, აზა, მანანა, შვილიშვილები: მერაბი, თენგიზი, ელისო, ხათუნა იზორიები, ხოსო ფიფია, შვილთაშვილები: ჭაბუკა, მარიკა, სიძე გელა ბენია, მაზლიშვილი კოლია იზორია, მულიშვილები: რომანოზ კვიკვინია, ლამარა ხვიტია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათე[სავ]ები იუწყებიან

**ლუბა ... ქსის ასულ ფიფია-იზორიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 20 ოქტომბერს, დაკრძალვა 21 ოქტომბერს სოფელ ერგეტაში.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96 სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, ბუღალტერიის 2-47-00

საქ სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-28-07 ტირაჟი 22000 შეკ. №1888